

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
კობა ლურსმანაშვილის
2022 წლის ანგარიში



2022 წელი

ხარაგაული

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

ანგარიშის სტრუქტურა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული და ინფრასტრუქტურული პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას.

სწორედ ეს სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც.

მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;

ინფრასტრუქტურაში პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსებას.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას;

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებას;

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებას;

2022 წლის განმავლობაში ხარაგაულის მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა მერიის 10 სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.

2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში 119 საჯარო მოხელე მუშაობდა.

მუნიციპალიტეტში საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართვის მიზნით ფუნქციონირებდა 9 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ხარაგაულის მერია დაკომპლექტებულია კვალიფიციური საჯარო მოხელეებით. სწორედ მათთან უშუალო კომუნიკაციის, გააზრებული ქმედებების და სათანადო პასუხისმგებლობის საფუძველზე, სხვადასხვა მიმართულებებით ჩვენ შევძელით მიმდინარე წლის წარმატებით დასრულება.

საანგარიშო წლის განმავლობაში მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად ვთანამშრომლობდით სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, მაჟორიტარ დეპუტატთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მუდმივი და ღია ურთიერთობის შედეგად ხარაგაულში 2022 წლის განმავლობაში მიღწევები ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული და სპორტული მიმართულებებით არ შეჩერებულა.

ხარაგაულში წელს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამიდან და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფონდიდან მიღებული დაფინანსებით.

2022 წელი გამორჩეული იყო, როგორც მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების შესაბამისად დაგეგმილი პროექტების განხორციელებით, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტებით.

უპრეცედენტო რაოდენობის ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებას მიმდინარე წელს 25 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა.

წელს პირველად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით, ხარაგაულში „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში შენობა - ნაგებობების ფასადების და სკვერების რეაბილიტაცია დაიწყო.

ხარაგაულში 2022 წელს წლების მანძილზე გადაუჭრელი პრობლემა მოიხსნა და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის შედეგად დაბა ხარაგაულს უწყვეტი წყალმომარაგება აქვს .

მიმდინარეობს წყალარინების (კანალიზაციის) მასშტაბური, საუკუნოვანი პროექტის სამუშაოები.

მთელი წლის განმავლობაში ხარაგაული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებით, საქართველოს მასშტაბით ღირსეულად ინარჩუნებდა ადგილს 10 წარმატებულ მუნიციპალიტეტს შორის.

წელს პირველად, ხარაგაულმა მიიღო დამატებითი ბონუს თანხა 50 ათასი ლარი ინფრასტრუქტურული პროექტების დროული და რიგ შემთხვევებში წინსწრებით შესრულებისთვის. მიღებული ბონუს თანხით ხარაგაულის მერიამ დამატებით 3 პროექტის განხორციელება და სოფლებში რთულად გადასაადგილებელი მონაკვეთების რეაბილიტაცია შეძლო.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელი გარდამავალ პროექტებში 1,5 მილიონი ლარის წინსწრებით შესრულებული სამუშაოებით გამოირჩევა.

სოციალური მიმართულება ხარაგაულის მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. გასულ წელთან შედარებით გაზრდილი გახლდათ სოციალურ პროგრამებზე მოქალაქეების ხელმისაწვდომობა. არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქმიანი თანამშრომლობის და საჭიროებების სწორად იდენტიფიცირების შედეგად ჩვენ შევძელით მოსახლეობისთვის ახალი სოციალური სერვისების შეთავაზება.

2022 წელი ასევე გამორჩეული გახლდათ კულტურული მიღწევებით, გამარჯვებებით და აღიარებით.

მაქვს პატივი უფრო სიღრმისეულად წარმოგიდგინოთ, ხარაგაულის მერიის სამსახურების და არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 22 685,8 ათასი ლარს, მაშინ როცა თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 10 318,1 ათასი ლარით, განვლილ პერიოდში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის წლიური შემოსულობები გაზრდილია 12 367,7 ათასი ლარით.

ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა პირველი იანვრიდან დღემდე მიიღო სულ 21 192,8 ათასი ლარის შემოსულობები, ე.ი. მთლიანი შემოსულობების წლიური გეგმა

შესრულებულია 93,5 %-ით, ხოლო საკუთარი შემოსულობების გეგმა შესრულებულია 99,0%-ით და დაგეგმილი 10 952,1 ათასი ლარის ნაცვლად უკვე მიღებულია 10 822,3 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში შეადგენს 26 108,5 ათას ლარს, გადასახდელების გეგმა გაზრდილია ორჯერ და მეტად, 13 956,9 ათასი ლარით, მაშინ როცა დამტკიცებული ბიუჯეტით ხარჯები 11 797,0 ათას ლარს შეადგენდა, მათ შორის დაფინანსებები გაზრდილია ინფრასტრუქტურის, განათლების, სოციალური და კულტურის მიმართულებით.

მუნიციპალიტეტის მერიამ მერის ხელმძღვანელობით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად კანონმდებლობით დაცულ ვადებში შეასრულა ყველა სამუშაო 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დაწესებულ ვადაში შედგენის უზრუნველსაყოფად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შედგენა-დაგეგმვის სამუშაოები დაწყებული იქნა 2022 წლის 1 მარტს მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე შიდა საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით საბიუჯეტო ცირკულარის შესაბამისად.

2022 წლის 14 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული პარამეტრებისა და საშუალოვადიანი პროგნოზის მიღების შემდეგ გაწეული სამუშაოების შედეგად პირველ სექტემბერს მერის ბრძანებით დამტკიცდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 -2026 წლების საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა, ხოლო 2022 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან შემოსავლების პროგნოზების მიღების შემდეგ შემუშავდა ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იქნა გენდერული და სამოქალაქო ბიუჯეტირების ასპექტები სხვადასხვა პროგრამების და ქვეპროგრამების ჩრჩილში. მომზადდა 2023- 2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართთან ერთად, რომელიც 2022 წლის 15 ნოემბერს გაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განმარტებით ბარათთან ერთად.

პირველი წარდგენის დროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 13 800,7 ათასი ლარით.

საკრებულოს მიერ საბიუჯეტო ცირკულარის ფარგლებში მოხდა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის ადმინისტრაციული წარმოება, მოეწყო ბიუჯეტის საჯარო განხილვა და ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნდა საჯაროდ.

2022 წლის 25 ნოემბერს საკრებულომ მერიას აცნობა გადმოაგზავნა საჯარო განხილვების დროს 2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხვადსხვა კომისიებისა და ფრაქციების შენიშვნები და რეკომენდაციები.

მუნიციპალიტეტის მერიამ ასევე ცირკულარის მიერ გათვალისწინებულ ვადებში დაიწყო მუშაობა დაბრუნებულ ბიუჯეტში გამოთქმული შენიშვნებზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 06 დეკემბერს მიღებული ახალმა პარამეტრების შედეგადაც დამატებითი წყარო გამოჩნდა დღგ-სა და მიზნობრივი ტრანსფერის გაზრდის გამო, რამაც მერიას მისცა საშუალება შენიშვნები მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული. გაიზარდა ინფრასტრუქტურის განვითარების, განათლების, კულტურისა და სპორტის და სოციალური პროგრამების ბიუჯეტები.

2022 წლის 09 დეკემბერს მერიამ საკრებულოს წარუდგინა 2023 წლის კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელიც პირველად წარდგენილ ვარიანტთან შედარებით შემოსულობების და ხარჯების ნაწილში გაზრდილია 379,3 ათასი ლარით.

საბოლოოდ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განისაზღვრება 14 180,0 ათასი ლარით. ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა საკითხი არის გამჭვირვალე და საჯარო, გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის განხორციელებული საქმიანობა სააგარიშო პერიოდში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მიმდინარე წელსაც აქტიურ პოლიტიკას ატარებდა ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით.

2021 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით 970,4 ათასი ლარი დაიგეგმა. 2022 წელს კი _ 1583,7 ათასი ლარი, ანუ 613,3 ათასი ლარით მეტი, ეტაპობრივად წლის განმავლობაში კიდევ დაემატა 213.7 თასი ლარი და ამჟამად პრიორიტეტზე დაგეგმილია 1797.4 ათასი ლარი.

მაღალი მომართვიანობიდან გამომდინარე, სოციალური მიმართულებით 2023 წელს კვლავ იგეგმება დაფინანსების ზრდა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 22 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 20 ქვეპროგრამა.

სოციალური მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური პროგრამებით ისარგებლა 5061 ბენეფიციარმა.

სამკურნალო, საოპერაციო და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით საანგარიშო პერიოდში გაცემულია 804 მოქალაქეზე ადმინისტრაციული დაპირება 491,2 ათას ლარზე. ანგარიშსწორება მოხდა 500.0 ათას ლარზე, გასულ წელთან შედარებით _ 120,0 ათასი ლარით მეტ თანხაზე. ისარგებლა 1255 მოქალაქემ.

შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამით დაკმაყოფილდა 46 განცხადება დახარჯულია 28.8 ათასი ლარი. მომავალი წლიდან ქვეპროგრამაში იგეგმება აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების დიაგნოსტიკის დაფინანსება, რაც საშუალებას მოგვცემს მოხდეს დაავადების ადრეული გამოვლენა.

შშმ პირის მომვლელის დახმარებით მოსარგებლეა 52 მოქალაქე და დახარჯულია 17,0 ათასი ლარი.

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამის ბიუჯეტი დაიგეგმა 350,0 ათას ლარი, რაც გასულ წელთან წელთან შედარებით 230,0 ათასი ლარით მეტია. საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 1580 მოქალაქემ.

ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარების ქვეპროგრამით სარგებლობს 12 მოქალაქე. აღსანიშნავია, რომ დიალიზით მოსარგებლეთა ტრანსპორტირებისთვის გასულ წელს დახმარება განისაზღვრებოდა 150 ლარით, წელს კი _ 200 ლარია გათვალისწინებული.

სიახლეა მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში, წინა წლებში დახმარება განსაზღვრული იყო ბავშვზე 50 ლარი, მიმდინარე წელს დახმარება ბავშვზე შეადგენს 100 ლარს. ასევე, სიახლეა მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამაშიც, სადაც გასულ წლებში დახმარება განისაზღვრებოდა წელიწადში ერთხელ 200 ლარით, 2022 წელს კი დახმარება განისაზღვრება 50 ლარით ყოველ თვეში.

ყოველთვიური დახმარებით, რომლითაც სარგებლობენ სამამულო ომის ვეტერანები, უსინათლოები და დევნილები, მოსარგებლეა 94 მოქალაქე. თანხა აქაც გაზრდილია და შეადგენს თვეში 50 ლარს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარებით სარგებლობს 5 ბენეფიციარი.

მიმდინარე წელს გაზრდილია 100 წელს გადაცილებულთა ქვეპროგრამის და განისაზღვრება 1000 ლარით.

სოციალურად დაუცველი ან უპატრონო გარდაცვლილის ოჯახის დახმარების ქვეპროგრამით ისარგებლა 50 ოჯახმა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 2,0 ათასი ლარით.

ახალშობილთა ოჯახების დახმარებით ისარგებლა 116 ახალშობილის ოჯახმა. გაწეული დახმარების ოდენობა შეადგენს 20,3 ათ. ლარს.

ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვისთვის დახარჯულია 0,25 ათ. ლარი.

სადღესაწაულო დახმარების ქვეპროგრამით დაიხარჯა 62,7 ათასი ლარი, ისარგებლა 882 ბენეფიციარმა. წინასაახლწოდ კვლავ იგეგმება დახმარების გაცემა 500 ოჯახზე.

სათბობ სეზონზე წლის დასაწყისში შეძენილია 90 მ3 შეშა, რომელიც გაიცა 45 ბენეფიციარზე. მიმდინარე სეზონზე 30,0 ათასი ლარის ფარგლებში კიდევ შეძენილია 281 მ3 შეშა, რომლის დარიგებაც დაწყებულია და სავარაუდოდ მოიცავს 140 ოჯახს.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარების პროგრამით სარგებლობს 5 მოქალაქე. მიმდინარე წელს ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 178 ოჯახს გაეწია დახმარება.

დახმარება გაეწია ომისა და სამხედრო ძალების 69 ვეტერანს, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გასამმაგებულია.

გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამით გასულ წელს ისარგებლა ორმა მოქალაქემ და დაიხარჯა 5,0 ათასი ლარი, მიმდინარე წელს კი დახარჯულია 12.8 ათასი ლარი, დაკმაყოფილდა 16 განცხადება.

უკვე მეორე წელია მერიაში შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. საანგარიშო პერიოდში განყოფილებაში განხილულია 50 ქეისი. ყველა მათგანზე მოხდა ჯგუფური გასვლა და არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლა.

სოციალურ პროგრამებში მომავალი წლიდან გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ქვეპროგრამა, რომელიც მეტად მორგებული იქნება ბავშვთა საჭიროებებზე.

მერიის სარეზერვო ფონდიდან სოციალურ პროგრამებზე გამოყოფილი იქნა 54979 ლარი. აქედან 31329 ლარი მიმართულია მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამაში, 5000 ლარი – ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამაში, ხოლო 18650 ლარი – სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დასახმარებლად. ისარგებლა 19 მოქალაქემ.

სამსახურის მიერ ასევე ხორციელდება ეკომიგრანტი ოჯახების ადგილობრივ დონეზე მომსახურება. საანგარიშო პერიოდში შესწავლილია 48 ოჯახი და გადაგზავნილია შესაბამისი უწყებაში.

ხდება შუამდგომლობის გაწევა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტთან, რის შედეგადაც მოქალაქეებს უფასოდ გაეწევათ მომსახურება საკარმიდამო ნაკვეთის და საცხოვრებელი სახლის გეოლოგიური მდგრადობის შეფასების თვალსაზრისით. მიმდინარე წელს უწყებაში გადაგზავნილია 46 მიმართვა.

2022 წლიდან მერიის სოციალურ სამსახურში დასაქმებული თემის სოციალური მუშაკი, რომელმაც წარმოებაში მიიღო 23 შემთხვევა. მათგან 13 შემთხვევა დასრულდა ბენეფიციარისთვის დროული და საჭირო დახმარების გაწევით, ორი შემთხვევა გადაეცა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების დეპარტამენტის იმერეთის რეგიონალურ ცენტრს. 4 შემთხვევაზე მიმდინარეობს პრევენციული ღონისძიებები ოჯახის გაძლიერების მიზნით.

როგორც მოგეხსენებათ, სამწლიანი საგრანტო პროგრამის ფარგლებში ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების დანერგვის მიზნით დაბა ხარაგაულში გარემონტდა და ადაპტირდა შესაბამისი ფართი, აღიჭურვა ჯგუფური თერაპიის შესაბამისი ინვენტარით. პროექტის დამსახურებით 10 ბავშვი დროულად ჩაირიცხა სახელმწიფო სერვისის მიმღებთა სიაში. საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს სახელმწიფო სერვისს მიღმა დარჩენილი და მომლოდინე ბავშვების ლოგოპედის მომსახურებას და ჯგუფურ თერაპიას. ლოგოპედის მომსახურებით სარგებლობს 11, ხოლო ჯგუფური თერაპიის სერვისით – 6 ბავშვი.

მიმდინარე წელს ევროკავშირის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტის მერიის და ასოციაცია „ანიკას“ ურთიერთთანამშრომლობით ა(ა)იპ „ნაბიჯი ხარაგაულის“ მიერ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება ახალი პროექტი, რომელიც გულისხმობს შინმოვლის ინტეგრირებულ პროექტს, რომელიც 5 კომპონენტს აერთიანებს. პროექტში ჩართული იქნება 100-მდე ბენეფიციარი. დასრულდა პერსონალის გადამზადება, დაწყებულია მომსახურების მიწოდება რამდენიმე თემში.

ჯამში, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის 17,8%-ია გათვალისწინებული.

სათნობის სახლი

ა(ა)იპ სათნობის სახლის ბიუჯეტი გასულ წელთან შედარების 9,0 ათასი ლარით მეტით განისაზღვრა და დაიგეგმა 138,0 ათასი ლარით, ცვლილებების შედეგად დღეს უკვე შეადგენს 210,0 ათას ლარს, რის შედეგადაც ბენეფიციართა მომსახურების გაუმჯობესდა.

დღეის მდგომარეობით, სასადილოთი სარგებლობს 140 ბენეფიციარი. გაფართოვდა მომსახურების არეალი, სასადილო კვირაში ორი დღე მზა საკვების ადგილზე მიტანით ემსახურება ახლომდებარე ადმ. ერთეულებში (საღანძილე, ბაზალეთი, ფარცხნალი, ლაშე) 42 ბენეფიციარს. საკვების ადგილზე მიტანის პროცესში ჩართულები არიან სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში დასაქმებულები.

საგრანტო პროექტის ფარგლებში ა/ორგანიზაციამ „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ მერიის თანადაფინანსებით და თანამონაწილეობით ხარაგაულში სოციალური სამრეცხაო მოაწყო, რომელსაც ელექტროენერგია მზის ენერჯის მეშვეობით მიეწოდება. პროექტი ხორციელდება სათნობის სახლში, რომელიც მოემსახურება მოწყვლად მოსახლეობას. სასადილოში დაინერგა HACCP-ის პროგრამა, რომელიც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება მიმდინარე წელს დაიგეგმა 177,7 ათას ლარით, რაც გასულ წელთან შედარებით 52,7 ათასი ლარით მეტია. წლის განმავლობაში სხვადასხვა სამედიცინო აქციისთვის დაფინანსება ეტაპობრივად გაიზარდა 19,3 ათასი ლარით და ამჟამად ბიუჯეტი განსაზღვრულია 197,0 ათასი ლარით.

კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს შეძენილი იქნა 15 მ² კონტეინერი, სადაც ყველა ნორმის დაცვით ტარდება ტესტირება. მობილური ჯგუფის მიერ 300-მდე მოქალაქეს გაეწია ბინაზე მომსახურება ტესტირებს მიზნით. შეუფერხებლად მიმდინარეობს ეპიდზედამხედველობის და იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამები. მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობდა კოვიდის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. ამცრელთა რაოდენობა დაახლოებით 9500 მოქალაქეა. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს, სხვადასხვა ფონდებიდან მიღებული დაფინანსებით, ინფრასტრუქტურული მიმართულებით, 10 582 995 ლარი დახარჯა.

დაფინანსდა - 217 პროექტი.

წარმოგიდგენთ, ინფორმაციას განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ:

რეგიონული განვითარების ფონდი

2022 წელს ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან საერთო ჯამში 5 444 301 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხა 33 პროექტზე გადანაწილდა.

ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, რეგიონული განვითარების ფონდიდან, პირველ ეტაპზე 2 775 762 ლარი გამოიყო, რომლითაც 19 პროექტი დაფინანსდა.

პირველ ეტაპზე გამოყოფილი დაფინანსებით, პროექტები შემდეგ სოფლებში განხორციელდა:

1. სოფელ ლელვანში გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი-150, 644. 00 ლარი
2. ღორეშაში მარიამწყაროს გზის რეაბილიტაცია-200. 000.00 ლარი
3. მაქათუბნის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი)-200. 000. 00 ლარი
4. სოფელ ღარიხევში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბრუსის უბანი)-127. 777. 00 ლარი
5. ბაზალეთში საუბნო გზის უბნის რეაბილიტაცია (მესხების უბანი)-75. 000.00 ლარი
6. თეთრაწყაროში საუბნო გზების რეაბილიტაცია-251, 697. 00 ლარი
7. ფარცხნალის ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (მესამე ეტაპი)-150.000.00 ლარი
8. ვახანში ინასარიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია -200, 000. 00 ლარი
9. უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერიძეების უბანი)-150, 000. 00 ლარი
10. სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ცქიტიშვილების უბანი)-75, 000. 00 ლარი

11. სოფელი ხევის საუბნო გზის რეაბილიტაცია-107, 000. 00 ლარი
12. სოფელ ვერტყვიჭალაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგიაშვილების უბანი)114, 227. 00 ლარი
13. სოფელ მაქათუბანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (წიქარიშვილების უბანი-)-87 388 00 ლარი
14. ქროლში საუბნო გზების რეაბილიტაცია-100, 000, 00 ლარი
15. ახლსოფლის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია(მესამე ეტაპი)-265 047. 00 ლარი
16. კიცხის საუბნო გზის რეაბილიტაცია(ბერაძეებისა და ზვიადაძეების უბანი)-279. 000.00
17. ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია(გორგაძეებისა და ფაბრიკის უბანში)-36, 853.00 ლარი
18. სოფელ ლედვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთის უბანი)-50, 077.00 ლარი
19. სოფელ უბისაში საუბნო გზის რეაბილიტაცია-63, 018.00 ლარი

მეორე ეტაპზე რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს 2 631 000 გამოეყო, მიღებული დაფინანსებით 11 პროექტი განხორციელდება.

მათგან რამდენიმე გარდამავალი გახლდათ და მილიონ 600 ათასი ლარის სამუშაოები წინსწრებით შესრულდა.

გამოყოფილი დაფინანსებით 11 პროექტი შემდეგ სოფლებში განხორციელდა:

- 1.სოფელ მაქათუბანში საუბნო გზის რეაბილიტაცია - (I და III ღერძი, II-ეტაპი) 201,586.00 ლარი;
2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ბერაძეების და ზვიადაძეების უბანი, III-VI-VIII-IX -ღერძი) II-ეტაპი 229,341.00 ლარი;
3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ჩხაკოურის უბანი) - 101,315.00 ლარი;
4. სოფელ ვარძიის საუბნო გზის რეაბილიტაცია - 197,777.00 ლარი;
5. სოფელ ღორეშაში საუბნო გზის რეაბილიტაცია (იჩქიტიძეების უბანი) - 250,022.00 ლარი;

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 287,962.00 ლარი;

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერიძეების უბანი) II ეტაპი - 157,139.00 ლარი;

8. სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 200,000.00 ლარი;

9. სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია - 154,000.00 ლარი;

10. სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 240,000.00 ლარი;

11. სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია (მეორე უბანი) - 100,000.00 ლარი;

12. სოფელ უბისაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა - 147,683.00 ლარი;

ჯამში რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულმა 2022 წელს 5 442 301 ლარი მიიღო. დაფინანსდა - 33 პროექტი. მიმდინარეობს 1 პროექტი. წინსწრებით შესრულებულია 7 პროექტი.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხარაგაულში მიმდინარე წელს 4 პროექტი დაფინანსდა.

მუნიციპალიტეტმა, 4 პროექტზე გრანტის სახით, ჯამში 2 619 727 ლარი მიიღო..

1.სოფელ მიროწმინდაში წმ.ნიკოლოზის სახელობის უძველეს ტაძართან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 234,444 ათასი ლარი.

2.დევების ქანდაკების და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია - 282 000 ლარი.

3.ხუნევის ბაღის მშენებლობა - 619 170 ლარი.

4.ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია - 1 460 942 ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, მიერ სრიგპ-ს ფარგლებში 2022 წელს წარდგენილი იდეები ტურისტული ლოკაციების, რეკრეაციული სივრცეებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 171 პროექტი განხორციელდა.

პროექტები სოფლებში გამართულ კრებებზე მოსახლეობის უშუალო ჩართულობით შეირჩა.

გზების რეაბილიტაცია - 61 დასახლებაში; გარე განათების სისტემის მოწყობა - 12 პროექტი; სასმელი წყლის სისტემის მოწყობა - 35 პროექტი; სასაფლაოს შემოღობვა - 20 დასახლებაში; ხიდების რეაბილიტაცია - 10 პროექტი; სხვადასხვა კატეგორიის - 33 პროექტი.

საერთო ჯამში, პროგრამის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან 890 000 ლარი დაიხარჯა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისთვის 330 531 ლარი გამოიყო.

სამოქალაქო ბიუჯეტი

სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში ხმათა უმრავლესობით შერჩეული პროექტების განხორციელებაში ხარაგაულის მერია მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული.

დასრულებულია შემდეგი პროექტები:

„ხარაგაული ჩაიფიქრე“- პროექტის ღირებულება 10 ათას 949 ლარი ;

დაბა ხარაგაულში ფრენბურთის მოედნის მოწყობა - 23 ათას 444 ლარი ;

სოფელ ღორეშაში ხელოვნურ საფარიანი მინი მოედნის მოწყობა - 27 367 ლარი.

სოფელ ფარცხნალში დევდარიანების და ლეჟავების უბანში, წყლის ჰაბურდილის მოწყობა

სამუშაოები მიმდინარეობს:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში „ლილეს წყაროს“ მშენებლობა - 8524.32 ლარი

სოფელ ვერტყვიჭალაში მინი სპორტულ მოედნის, ტრენაჟორების და ფანჩატურის მშენებლობა - 23 907 ლარი.

გამარჯვებულ პროექტებს შორის გახლდათ ხარაგაულის აღმნიშვნელი დეკორატიული აბრების მოწყობა, რომელიც დაკორექტირდა, რადგან მუნიციპალური

განვითარების ფონდის მიერ აღნიშნული სახის აბრების განთავსება, საერთო პროექტის ფარგლებში ყველა მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

ხარაგაულის მერია, პროექტს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ახორციელებდა. აღნიშნული პროექტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან 150 ათასი ლარით დაფინანსდა. ხარაგაულის მერია „სამოქალაქო ბიუჯეტის“ კონკურსს წელს კვლავ განახორციელებს.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფონდი

მიმდინარე წელს სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან ხარაგაულში ორი პროექტი დაფინანსდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით 1 000 000 ლარი გამოეყო.

კიცხი-ხიდარის დამაკავშირებელ გზაზე სტიქიის შედეგად ჩაწყვეტილი გზის აღდგენა და გაბიონის გაკეთება - 750 000 ლარი.

სოფელ ლელვანში, კოდაბოლოს უბანში ხიდის მშენებლობა - 250 000 ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

აღნიშნული ფონდიდან 2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 481 512 ლარი, დაფინანსდა 2 პროექტი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩრდილში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ტალახამეების უბანი) - 300,000.00 ლარი;

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩრდილში საუბნო გზის რეაბილიტაცია (გოგნამეების უბანი) - 181,512.00 ლარი;

ორივე პროექტზე გაფორმდა გარდამავალი ხელშეკრულება რომლის ჯამურმა ღირებულებამ 719 432 ლარს მიაღწია, 2022 წელს უნდა მოხდარიყო 481 512 ლარის სამუშაოების განხორციელება 2023 წელს კი დასრულებულიყო პროექტი. სამუშაოების განხორციელება მოხდა წინსწრებით სრულად. ნაცვლად 481 512 ლარისა შესრულდა 719 432 ლარის სამუშაო, რამაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცა 2023 წელს მოხდეს დამატებითი პროექტების განხორციელება.

განახლებული რეგიონები

დაფინანსდა ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია. მიმდინარეობს სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე სკვერების განახლება, რაც სრულიად შეცვლის და გააღამაზებს ხარაგაულის იერსახეს.

აღნიშნული პროგრამა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, ინიციატივით, დაიწყო და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამის ფარგლებში, ხარაგაულში 20 მილიონი ლარი დაიხარჯება და შენობა-ნაგებობების მოწესრიგება კვლავ გაგრძელდება.

წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა

დაბა ხარაგაული წელს პირველად წყალმომარაგების 24 საათიან სისტემაზე გადავიდა.

მთელი წლის მანძილზე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, წყალმომარაგების კომპანია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სტაბილური წყალმომარაგებისა და წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურისთვის სისტემების მშენებლობისთვის აქტიურ სამუშაოებს ატარებდა.

ხარაგაულისთვის ეს არის საუკუნის პროექტი, რადგან დაბაში წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა არასდროს ყოფილა.

ორივე პროექტის განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6 მილიონ ლარამდე თანხა გამოიყო.

მოხდა სამი ახალი ჭაბურღილის, სათავე ნაგებობისა და სატუმბო სადგურის მშენებლობა. რეაბილიტაცია ჩატარდება ასევე წყლის სათავე ნაგებობას.

მოეწყო წყალმომარაგების სრულიად ახალი ქსელები, მაგისტრალები და რეზერვუარი. სამუშაოების ფარგლებში მოხდა კორპუსების შიდა გაყვანილობების მოწყობა და მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

სამუშაოების შედეგად სრულად ხარაგაულის მოსახლეობა, 4 000-მდე ადამიანი 24 საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ხარაგაული-კიცხი-ზესტაფონის დამაკავშირებელ გზა

ზესტაფონი-კიცხი-ხარაგაულის საავტომობილო გზის 21 კილომეტრიან მონაკვეთს სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

პროექტის ღირებულება 14 288 888 ათასი ლარი გახლდათ, რომელიც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაფინანსდა.

დაბა ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩის რეაბილიტაცია

ხარაგაულის ცენტრალურ ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. 1600-მეტრიან მონაკვეთზე ასფალტის საფარი სრულად დაიგო.

დაბის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განხორციელა.

სამუშაოებზე 1 900 600 ლარი დაიხარჯა.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები

მიმდინარე წელს, ხარაგაულის მერიამ, საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 109 425 ლარი დახარჯა. აღნიშნული თანხით, ხუნევის, ხევისა და გედსამანიის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია განხორციელდა.

აღსანიშნავია რომ ხარაგაულში ბოლო წლების მანძილზე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მარელისის და ვერტყვიჭალის საჯარო სკოლებს. სრულიად ახალი სკოლა აშენდა სოფელ კიცხში. ჯამში, სკოლებზე 6 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

2023 წელს დაგეგმილია წყალაფორეთში ახალი სკოლის მშენებლობა. ამჟამად არსებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოებისთვის დოკუმენტაცია მზადდება. დემონტაჟის დასრულებისთანავე გამოცხადდება ტენდერი და დაიწყება მშენებლობა. წყალაფორეთში ახალი სკოლის მშენებლობისათვის ორ მილიონ ლარამდე დაიხარჯება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამის (GGP) გამარჯვებულია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი იაპონიის საელჩოს-„ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის (GGP)“ -გამარჯვებული გახდა.

ხარაგაულის მერიამ მაღალი კონკურენციის პირობებში შეძლო დაფინანსების მოპოვება.

ხარაგაულის მერიას გრანტი არასდროს მიუღია და მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა.

გრანტის ფარგლებში ხარაგაულის მერია 167 ათას ლარს მიიღებს და აღნიშნული თანხით ახალი ექსკავატორ-დამტვირთველის (JCB ტრაქტორი) შეძენა მოხდება.

სპეც-ტექნიკით შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა, ინერტული მასალების გატანა და სხვადასხვა სამუშაოების განხორციელება იქნება შესაძლებელი.

კულტურის, განათლების , სპორტის და ახალგაზრდობის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

ხარაგაულის მერიის კულტურის, განათლების , სპორტის და ახალგაზრდობის სამსახური და კულტურული მიმართულების აიპები მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები კულტურული ხასიათის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

მათგან აღსანიშნავია: „მხიარულ სტარტები“ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მონაწილეობით, ასევე, სხვადასხვა მოყვარულთა ჯგუფებში და ორგანიზაციებს შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ტრადიციული დოლი ვახსა და ხიდარში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, მსოფლიო ოლიპიადის დღე. სამოყვარულო ლიგის მუნიციპალური თამაშები ფეხბურთში, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და ა.შ

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო იმერეთის თეატრალურ ფესტივალში. თეატრი დაჯილდოვდა 2 მთავარ ნომინაციაში.

ხარაგაულებმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს ფონდის პროექტში „მოხალისე წყლის ადვოკატები“. მერიის ხელშეწყობით ხარაგაულის N2 საჯარო

სკოლასთან არსებული „მკითხველთა კლუბი“ იმყოფებოდა სვანეთში „STREAM სამყარო“ პროექტის ფარგლებში.

ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა, ხალხურმა მთქმელებმა და ხალხური რეწვის ოსტატებმა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები: ფოლკლორული ანსამბლი „ოდლა“ და სახალხო მთქმელი სოფელ ჭარტალიდან.

„შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალში“ მონაწილეობა მიიღეს ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან მოქმედმა ანსამბლებმა.

აღინიშნა პედაგოგთა საერთაშორისო დღე. ჩატარდა საზეიმო კონცერტი პედაგოგთა მონაწილეობით, მოეწყო პედაგოგთა ნამუშევრების გამოფენა. ასევე, ჩატარდა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგთა შემოქმედებითი საღამო.

ყოველწლიურად ტარდება მედია პროექტი „ეტალონი“, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდები მუნიციპალიტეტის მასშტაბით და I, II, III ადგილზე გასული მოსწავლეები მერიის მიერ ჯილდოვდებიან ფულადი პრემიით.

წლის ბოლომდე დაგეგმილია სხვადასხვა საახალწლო ღონისძიება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის წრეები: ხალხური სიმღერის წრე (ლეღვანი), საესტრადო სიმღერის, , ლიტერატურული თეატრი, ხეზე კვეთის (მარელისი), გალობის, ხელგარჯილობის, მხარეთმცოდნეობის, ნორჩ-მათემატიკოსთა, ხატვის, მაკრამის, ინგლისური ენის შემსწავლელი წრე და კინო მოყვარულთა წრე. გარდა ამისა, მოსწავლეთა სახლში ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ დაბასა და სოფ. ვერტყვიჭალაში.

მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 220. წრეებში ჩაბმულნი არიან როგორც დაბის ასევე სოფლის მოსწავლეები.

მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლში, მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება. გამოიცვალა შენობაში შესასვლელი კიბე, დამონტაჟდა გაგრილების სისტემა დარბაზში, შეიცავლა ფანჯრები. გაკეთდა ცენტრალური გათბობა.

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს, მასში დაცული მხარის ისტორიული და არქეოლოგიური უნიკალური მასალით, რომელიც ნათლად ასახავს რაიონის

წარსულსა და დღევანდებლობას, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიის წარმოჩენის საქმეში.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მამუკა ცუცქირიძის ინიციატივით, მუზეუმისთვის საჩუქრად გადმოცემული ფერწერული ტილოების დამუშავება და საგამოფენოდ მომზადება, რამაც დღემდე 295 ერთეული შეადგინა.

წლების განმავლობაში მუზეუმში მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა.

მოეწყო ეროვნული სამოსის დღე, შემოდგომა იმერეთში, ღვინის ფესტივალი, მუზეუმების საერთაშორისო კვირეული, ფოტოგამოფენები, „მოხატული კერამიკა“, „პატარა არქეოლოგები“, „მე ვხატავ ანიმაციას“, „ჩემი პარატარა ხელებით“, „ევროპული მემკვიდრეობის დღეები“. ამჟამად მუზეუმში გროვდება მასალები ხარაგაულში მოღვაწე ადამიანებზე, სხვადასხვა დარგის ისტორიაზე, მიმდინარეობს ინტეგრირებული გაკვეთილები სკოლებთან.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“

სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრში ფუნქციონირებს 13 სპორტული მიმართულება. სხვადასხვა სპორტული სექციები გახსნილია 7 სოფელში. ძირითადად სექციების მუშაობა მიმდინარეობს სკოლის დარბაზებში.

წლის განმავლობაში ტარდება მრავალი სპორტული შეხვედრა და ასპარეზობა, როგორც ადგილზე ასევე გასვლითი ტურნირები, სადაც აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ახალგაზრდები. ასევე, აღინიშნა ტურიზმის საერთაშორისო დღე და ევროპის სპორტის კვირეული, ლელვანში მოეწყო საზაფხულო ბანაკი სამ ნაკადად, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „ვიცნობდეთ ხარაგაულს“.

საამაყო ჩვენი სპორტსმენების მიღწევები სხვადასხვა ტურნირებში.

ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების ცენტრი“

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა ემსახურებოდა 4700 მკითხველს, ტარდება არაერთი საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიება, განხორციელებული იყო არაერთი პროექტი, როგორცაა პროექტი „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, „სტუმრად ბიბლიოთეკაში“, „შევინარჩუნოთ სიძველეები“, ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული, და ა.შ.

პანდემიის შემდეგ სრული დატვირთვით განაახლა მუშაობა განაახლა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უბისმა“, ხალხური სიმღერის გუნდმა, ვაჟთა ვოკალურმა გუნდმა, ანსამბლი „კახორი“, ანსამბლი „ოდილა.“

წარმატებული თეატრალური სეზონები ჰქონდა ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრს და რეზო თაბუკაშვილი სახელობის ლიტერატურულ თეატრს.

მოეწყო „რა ,სად, როდის“ შემოდგომის სეზონი, ინტელექტუალური თამაში „რა , სად, როდის“, ლიტერატურული კონკურსი „ოდეონი“, ქართული საგალობლების საღამო.

ფესტივალში „სულიკო 2022“ მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა „ხარაგაულის ხმები“ და პირველი ადგილი მოიპოვა.

წელს პირველად გაიმართა „ხარაგაულობის“ სახალხო დღესასწაული. ღონისძიებაში ჩართული იყო კულტურული მიმართულების ყველა დაწესებულება.

წელს პირველად ხარაგაულის გუნდი მონაწილეობას მიიღო „მან-სან- კანის“ ქართულ ლიგაში და პირველი ადგილი მოიპოვა.

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა

წელს სამუსიკო სკოლამ შემოგვთავაზა არაერთი საინტერესო ღონისძიება და სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე ფესტივალში.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

2022 წელს სამსახურის მიერ მომზადებულია და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში გაგზავნილია 71 მიმართვა, რომლის საფუძველზეც საკუთრებაში დარეგისტრირდა 37 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო დანარჩენი წარმოადგენდა უძრავი ქონების დაყოფის, სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის ან გადაცემული ქონების სარგებლობის უფლების შეწყვეტის და რეგისტრირებული ფართების საზღვრების კორექტირება - დაზუსტების მოთხოვნას.

2022 წელს გაფორმდა მიწის ნაკვეთების ჩუქების 2 ხელშეკრულება, კერძოდ ფიზიკურმა პირებმა სოფელ ვარძიასა და ვახანში ჭაბურღილების მოსაწყობად მუნიციპალიტეტს გადმოსცა რეგისტრირებული ფართები, რომლებზეც უკვე მოეწყო ჭაბურღილები. განხორციელდა ბაზალეთის, ხიდარის, ვარძიის, ვახანის და ფარცხნალის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული ამბულატორიების ფართების გამიჯვნა და სოფელ სარგვეშში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, მისი შემდგომში სახელმწიფოსა და სამედიცინო ჰოლდინგისათვის გადაცემის მიზნით.

სამსახური ასევე ამზადებს აუქციონის მასალებს და ვებ.გვერდზე www.eauction.ge აცხადებს ელექტრონულ აუქციონს, 2022 წელს ქონების პრივატიზებაზე გამოცხადდა 2 ელექტრონული აუქციონი, აქედან შედგა ერთი აუქციონი და ქონების პრივატიზაციის შემოსავალმა შეადგინა 2022 (ორიათასოცდაორი) ლარმა, ხოლო მეორე აუქციონი არ შედგა. 2022 წელს ასევე 5 ელექტრონული აუქციონი იყო გამოცხადებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით განკარგვაზე, რომელთაგან 4 აუქციონი შედგა, ხოლო ერთი არ შედგა.

მუნიციპალიტეტში დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან შეთანხმებით ვახდენთ იმ იურიდიული პირების ინფორმირებას, რომელთაც მიეწოდებათ დასუფთავების სერვისი და მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენების მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით ვუფორმებთ დასუფთავების ხელშეკრულებებს. იურიდიულ პირებთან დღეის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის 111 ხელშეკრულებაა გაფორმებული და კვლავ მიმდინარეობს ინფორმაციის მოკვლევა ნარჩენების წარმომქმნელ იურიდიულ პირებზე, რომლებმაც უნდა გადაიხადონ გაწეული მომსახურების ღირებულება. საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში დასუფთავების მოსაკრებელი შემოსულია 119 317 ლარი.

მოგახსენებთ, რომ შექმნილი არის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას და სამსახური აქტიურად არის ჩართული კომისიის მუშაობაში, ასევე სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების და ნარჩენების მართვის გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მერიამ სახელმწიფო შესყიდვები განახორციელა სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში <http://procurement.gov.ge/>-ზე რეგისტრირებული ელექტრონული წლიური გეგმის P210002571 საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას არ გამოკვეთილა შესყიდვების წლიური გეგმის შეუსაბამო ქმედება რაც შესაძლებელია გამოიხატოს წლიური გეგმის ხელოვნურად დაყოფაში, მონეტარული ზღვრების დარღვევაში და ა.შ.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და წინა წლებში სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები/შენიშვნები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით განახორციელა:

- 1) ელექტრონული ტენდერის საშუალებით 13 583 756.12 ლარის შესყიდვა.
- 2) კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით 1 227 655.95 ლარის შესყიდვა.
- 3) გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 70 919.98 ლარის შესყიდვა.
- 4) მონეტარული ზღვრების დაცვით 96 179.87 ლარის შესყიდვა.
- 5) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა 10 500 ლარის შესყიდვა.
- 6) ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების ფარგლებში განხორციელდა 50 436 ლარის შესყიდვა.
- 7) დაყოფა რაციონალურობის პრინციპის ფარგლებში 100 ლარის შესყიდვა.
- 8) ექსკლუზიური უფლობამოსილების ფარგლებში 2 960 ლარის შესყიდვა.
- 9) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების მონაწილეობით, განხორციელდა 1 204 720 ლარის შესყიდვა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საანგარიშო პერიოდში, ელექტრონული ტენდერების ჩატარების შედეგად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე შეთანხმების საფუძველზე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების საფუძველზე, გამოვლენის გამარჯვებულ მიმწოდებლებთან ჯამში სხვადასხვა საქონლის, მომსახურების და სამუშაოების შესრულების შესყიდვაზე მიმწოდებლებთან გააფორმა 265 (ორას სამოცდახუთი) ხელშეკრულება.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში იტვირთება და რეგისტრირდება <http://www.procurement.gov.ge/> სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ადმინისტრაციული სამსახური

2022 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 5120 კორესპოდენცია. აქედან კანცელარიაში მატერიალური სახით შემოსულია 3850 წერილი, ელექტრონულად მიღებულია -2041.

მიღებულ კორესპოდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა-6904, ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი - 3416 ბრძანება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 1986 წერილი.

სოციალურ საკითხებზე შემოსულია 3894 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -188 განცხადება.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის საფუძველზეც 2022 წლის 3 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება (მეორე კლასი) პროფესიულ საჯარო მოხელეებზე- სულ: მეორე კლასი -52, პირველი კლასი 13.

2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი 20 კონკურსი.

მერიის მიერ გამოცხადებული ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით კონკურსის განთავსება ხდებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ - გვერდის მეშვეობით.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

2022 წელს მუშაობას განაგრძობდა მერიის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისაგან. წლის განმავლობაში ჩატარდა ორი სხდომა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის პროექტი და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

განყოფილება ადმინისტრირებას უწევს ვებ-გვერდს www.kharagaulinews.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკურ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ასევე, ახდენს სოციალური ქსელების (მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ჯგუფის) ადმინისტრირებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება საქმიანობის განხორციელებისას დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ახდენს მონაცემთა ბაზის, არქივის შექმნას და ინფორმაციის ანალიზს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება თანამშრომლობს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოსთან. მთელი წლის მანძილზე ხარაგაულში მიმდინარე მთავარი თემების (ინფრასტრუქტურული, კულტურული თუ სოციალური ხასიათის) შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა ipress.ge, topnews.com.ge და tiflisnews.ge.

მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურ კომინიკაციაშია მერიის აიპებთან და ითანხმებს და მონიტორინგს უწევს აიპების ოფიციალურ ფეისბუქ გვერდებზე განსათავსებელ საინფორმაციო სახიათის მასალებს.

ხარაგაულის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, აქტიურად თანამშრომლობს ტელევიზიებთან, ხარაგაულის ტურისტული ლოკაციების, აქ მაცხოვრებელი საინტერესო პიროვნებების და კუთხისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის ნაწარმის პოპულარიზაციის მიზნით.

ხარაგაულის მერიის ვებ-გვერდზე kharagaulinews.gov.ge განთავსებულია ელექტრონული პლატფორმა, სახელწოდებით - „მოქალაქეთა უკუკავშირი/Citizens feedback“, რომელიც ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ (LDA Georgia) ხარაგაულის მერიასთან ერთად შექმნა.

ონლაინ პლატფორმის საშუალებით მოქალაქეების მხრიდან ფასდება მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სერვისები და პროგრამები. ამასთანავე,

აღნიშნული პლატფორმა მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას მოახდინონ მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროების იდენტიფიცირება და მიუთითონ თავიანთი მოსაზრება/რეკომენდაცია პრობლემის მოგვარების გზებთან დაკავშირებით.

„მოქალაქეთა უკუკავშირის ონლაინ პლატფორმის“ განხორციელების წესის შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მოქალაქეთა უკუკავშირიდან და საჭიროებებიდან დაფიქსირებული მინიმუმ ორი პრობლემის გადაჭრას და ასახვას მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში.

კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას, ხარაგაულის მერია მუნიციპალური სერვისების ეფექტიანობის გასაზომად იყენებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

2022 წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან, სასწავლო დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდან, სამხედრო სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 17 წელს მიღწეული ჭაბუკების (2005 წელს დაბადებულები) აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე, საერთო ჯამით 104 ჭაბუკის.

2022 წლის მანძილზე სამხედრო სამსახურის მიერ გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 240 წვევამდელი. აქედან სავალდებულო სამსახურში ჩაირიცხა 22 წვევამდელი. კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისგან განთავისუფლდა 24 წვევამდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სულ სხვადასხვა სტატუსით გადავადება მიიღო 193 წვევამდელმა, პოლიციას გადაეცა 23 წვევამდელის სახელობითი სია ვინც არ ცხადდება გამწვევ კომისიაზე ან ვერ ხერხდება მათი მოძიება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამ ეტაპისთვის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მირს გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

2022 წლის განმავლობაში შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარდა ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს, ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების, ა(ა)იპ „სათნოების სახლის“, სსიპ „ბორის საჯარო სკოლის“ და ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ და მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება.

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგების მონიტორინგი მოცემულ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგ ობიექტებს: ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“-ს, რომელმაც რეკომენდაციების 56% შეასრულა, (ა)იპ „ეთერ კინაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“-ს შეასრულა რეკომენდაციები 100%-ით, ა(ა)იპ „სათნოების სახლი“-ს შეასრულა რეკომენდაციები 75% -ით.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

სამსახური მუდმივად ახორციელებს საჯარო ზედამხედველობას გაცემული მშენებლობის ნებართვების საჯარო ზედამხედველობასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელიდან, ბიუჯეტში შემოსულია 5288.55 ლ. 2022 წელში განხორციელდა 6 მშენებლობა დამთავრებული ობიექტის ვარგისად აღიარებისათვის ექსპლუატაციაში მიღება.

ხარაგაულს მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, საკრებულოსთან, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან და მაჟორიტარ დეპუტატთან.

სწორედ მათი მხარდაჭერით და ჩართულობით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი.

მუნიციპალიტეტი ახალ წელს, ახალი გზებით, სკვერებით, ფასადებითა და სხვა მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება.

ინფრასტრუქტურული გამოწვევების დადებით გადაჭრა, ვფიქრობთ, სამომავლოდ, ტურიზმის განვითარებაზე, ეკონომიკისა და სოციალური დონის გაუმჯობესებაზე დადებითად აისახება.

წლის ბოლომდე ხარაგაულში ყველა მიმდინარე პროექტი დასრულებული იქნება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელებას კვლავ გააგრძელებს.

2023 წელს გაირდება უფრო მეტ მასშტაბურ პროექტს ხარაგაულის განვითარებისთვის და თქვენი კეთილდღეობისთვის.

